საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030117882040518

№ 01-1249/ო **10 / ოქტომბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, 21-ე მუხლის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2, მე-4, მე-6 და მე-7 პუნქტებისა და აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში განისაზღვროს:

ა) ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი– სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

დ) იურიდიული დეპარტამენტი– სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ვ) სოციალური მომსახურების სააგენტო – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ზ) ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. მინისტრის პირველი მოადგილის ზაზა ბოხუას დაქვემდებარებაში/კომპეტენციაში განისაზღვროს:

ა) საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ბ) სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

გ) სამედიცინო (მათ შორის დიპლომისშემდგომი) განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების საკითხების კოორდინაცია.

3. მინისტრის მოადგილის თამილა ბარკალაიას დაქვემდებარებაში/კომპეტენციაში განისაზღვროს:

ა) შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) სოციალური დაცვის დეპარტამენტი – სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

დ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ე) ახალგორის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

ვ) სოციალური მომსახურების სააგენტოს – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სოციალური, აგრეთვე, შრომისა და დასაქმების მიმართულებით საქმიანობის კოორდინაცია;

ზ) ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხების კოორდინაცია;

თ) საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაცია;

ი) სამინისტროს საპარლამენტო მდივნის ფუნქციის განხორციელება.

4. მინისტრის მოადგილის მაია ლაგვილავას დაქვემდებარებაში/კომპეტენციაში განისაზღვროს:

ა) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) ელექტრონული ჯანდაცვის საკითხების კოორდინაცია;

გ) დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხების კოორდინაცია;

დ) სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის საკითხების კოორდინაცია;

ე) პირველადი ჯანდაცვის საკითხების კოორდინაცია;

ვ) სოციალური მომსახურების სააგენტოს – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით საქმიანობის კოორდინაცია.

5. მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის დაქვემდებარებაში/კომპეტენციაში განისაზღვროს:

ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) ეკონომიკური დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“-ს საქმიანობის კოორდინაცია და დამფუძნებლის უფლებამოსილების განხორციელება;

დ) ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების საკითხების კოორდინაცია;

ე) სამინისტროს მართვაში მყოფი შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“-ს საქმიანობის კოორდინაცია და წილის მმართველისათვის მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება.

6. მინისტრის მოადგილის გრიგოლი გიორგაძის დაქვემდებარებაში/კომპეტენციაში განისაზღვროს:

ა) დევნილთა და ეკომიგრანტთა პოლიტიკის დეპარტამენტი - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) „საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო“ - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

გ) საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 მარტის N632 განკარგულების შესაბამისად, გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატსა (გლუკი) და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს შორის გაფორმებული N GE001/2018/0000000299/000 ხელშეკრულების საფუძველზე, მიმდინარე პროექტის კოორდინაცია;

დ) სოციალური მომსახურების სააგენტოს – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის დევნილთა და ეკომიგრანტთა საკითხების მიმართულებით საქმიანობის კოორდინაცია.

7. მინისტრის მოადგილის მამუკა ცოტნიაშვილის კომპეტენციაში განისაზღვროს შესაბამის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ დევნილებთან მუდმივი კომუნიკაციის წარმოება და დევნილთა საკითხებზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის კოორდინაცია.

8. მინისტრის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს:

ა) მინისტრის პირველი მოადგილე (ზაზა ბოხუა);

ბ) მინისტრისა და მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (თამილა ბარკალაია);

გ) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა) და მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (მაია ლაგვილავა);

დ) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა), მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) და მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გიორგი წოწკოლაური);

ე) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა), მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) და მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გრიგოლი გიორგაძე);

ვ) მინისტრის, მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა), მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა), მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) და მინისტრის მოადგილის (გრიგოლი გიორგაძე) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (მამუკა ცოტნიაშვილი).

9. მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს:

ა) მინისტრის მოადგილე (თამილა ბარკალაია);

ბ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (მაია ლაგვილავა);

გ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) და მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გიორგი წოწკოლაური);

დ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) და მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გრიგოლი გიორგაძე);

ე) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა), მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) და მინისტრის მოადგილის (გრიგოლი გიორგაძე) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (მამუკა ცოტნიაშვილი).

10. მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას და ფუნქციებს ახორციელებს:

ა) მინისტრის მოადგილე (მაია ლაგვილავა);

ბ) მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გიორგი წოწკოლაური);

გ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) და მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის პირველი მოადგილე (ზაზა ბოხუა);

დ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა), მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) და მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გრიგოლი გიორგაძე);

ე) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური), მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა) და მინისტრის მოადგილის (გრიგოლი გიორგაძე) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (მამუკა ცოტნიაშვილი).

11. მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას და ფუნქციებს ახორციელებს:

ა) მინისტრის მოადგილე (თამილა ბარკალაია);

ბ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გიორგი წოწკოლაური);

გ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) და მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის პირველი მოადგილე (ზაზა ბოხუა);

დ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) და მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გრიგოლი გიორგაძე);

ე) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური), მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა) და მინისტრის მოადგილის (გრიგოლი გიორგაძე) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (მამუკა ცოტნიაშვილი).

12. მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას და ფუნქციებს (გარდა სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის უფლებამოსილებისა და ფუნქციებისა) ახორციელებს:

ა) მინისტრის მოადგილე (თამილა ბარკალაია);

ბ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (მაია ლაგვილავა);

გ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) და მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის პირველი მოადგილე (ზაზა ბოხუა);

დ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) და მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გრიგოლი გიორგაძე);

ე) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა), მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა) და მინისტრის მოადგილის (გრიგოლი გიორგაძე) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (მამუკა ცოტნიაშვილი).

13. მინისტრის მოადგილის (გრიგოლი გიორგაძე) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს:

ა) მინისტრის მოადგილე (თამილა ბარკალაია);

ბ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (მაია ლაგვილავა);

გ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) და მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის პირველი მოადგილე (ზაზა ბოხუა);

დ) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) და მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გიორგი წოწკოლაური);

ე) მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა), მინისტრის პირველი მოადგილის (ზაზა ბოხუა) და მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (მამუკა ცოტნიაშვილი).

14. მინისტრის მოადგილის (მამუკა ცოტნიაშვილი) არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს:

ა) მინისტრის მოადგილე (გრიგოლი გიორგაძე);

ბ) მინისტრის მოადგილის (გრიგოლი გიორგაძე) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (თამილა ბარკალაია) ;

გ) მინისტრის მოადგილის (გრიგოლი გიორგაძე) და მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (მაია ლაგვილავა);

დ) მინისტრის მოადგილის (გრიგოლი გიორგაძე), მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია) და მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის მოადგილე (გიორგი წოწკოლაური);

ე) მინისტრის მოადგილის (გრიგოლი გიორგაძე), მინისტრის მოადგილის (თამილა ბარკალაია), მინისტრის მოადგილის (მაია ლაგვილავა) და მინისტრის მოადგილის (გიორგი წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში - მინისტრის პირველი მოადგილე (ზაზა ბოხუა).

15. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის უფლებამოსილებისა და ფუნქციების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-1200/ო ბრძანება.

16. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.